ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №23

01 მარტი , 2019 წელი

14:00 საათი

(ჯანდაცვის კომისიის ოთახი)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი დოხტურიშვილი;
2. ნინო ლაცაბიძე;
3. ვლადიმერ ძნელაძე;
4. ფრიდონ ინჯია;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. დათო ჟღენტი;

მოწვეული სტუმრები: ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ".

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი დოხტურიშვილი.

გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი პროექტით (12/0319058156-03; 27.02.2019წ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 62 820,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 063 101,8 ათასი ლარით. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების მიმართულებით იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: დაავადებათა სკრინინგის (კოდი 06 01 02) ქვეპროგრამის მოცულობა იზრდება 450,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) იზრდება 30,0 ათასი ლარით, ხოლო სასწრაფო სამედიცინო დახმარების (კოდი 06 01 01) პროგრამას ემატება 3 357,0 ათასი ლარი.

მცირდება კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) 300,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში'' 200 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების რაოდენობის კლებით. ასევე მცირდება სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის (კოდი 06 02 25) დაფინანსება 30,0 ათასი ლარით, რაც განპირობებულია დადგეგმილთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ბენეფიციართა დაფიქსირებით.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა ნ.ლაცაბიძემ და გ.დოხტურიშვილმა. ნ.ლაცაბიძე დაინტერესდა თუ რატომ არის ჩართული ქვეკონტრაქტორი სამედიცინო დაწესებულებები დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამაში ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრთან ერთად. გ. ჩივიაშვილმა აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით, განმარტა რომ, გამომდინარე მოსახლეობის გაზრდილი მომართვიანობიდან შეუძლებელია მხოლოდ ერთი სამედიცინო დაწესებულება მოემსახუროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის ფარგლებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 2

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — გიორგი დოხტურიშვილი